www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ოთხშაბათი, 25 სექტემბერი, 2013 წელი. | №3372 (179) | ფასი 50

ოკუპაცია მოცოცავს

რუსეთის საოკუპაციო ჯარები სოფელ დვანის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. საზღვრის სადემარკაციო სამუშაოებს აგრძელებენ.

რუსი სამხედროები დასახლებულ პუნქტამდე ანუ სოფელ დვანში მდებარე საცხოვრებელ სახლებამდე, სავარაუდოდ, დღეს, საღამოს მივლენ და სწორედ მაშინ გახდება ცნობილი, შეექმნება თუ არა საფრთხე სოფლის განაპირას მდებარე სამ საცხოვრებელ სახლს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ სოფლის მოსახლეობის 20-30 პროცენტი სასოფლო-სამეურნეო მიწების გარეშე დარჩა. ისინი საკუთარ ბაღებში შესვლას და მოსავლის აღებას ველარ ახერხებენ. დვანის მცხოვრებთა ინფორმაციით, მათ რუსმა მესაზღვრეებმა გუშინაც მხოლოდ ერთი საათი მისცეს სიმინდის ასაღებად.

ოკუპანტები დვანის რამდენიმე მცხოვრებს კუთვნილი სათავსოების დაცლასაც სთხოვენ იმ მიზეზით, რომ ეს სახლები ოსების მხარეს მოხვდება.

გუშინ დვანში იმყოფებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებიც. მათი განმარტებით, ადგილზე ვითარების საფუძვლიანად შესწავლის შემდეგ სამინისტრო მოსახლეობისთვის ზარალის ანაზღაურების შესახებ გარკვეულ გადაწყვეტლებას მიიღებს, თუმცა რა ფორმით მოხდება ანაზღაურება, ჯერჯერობით უცნობია.

ადგილზე ჩავიდნენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია და რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილე ქეთევან ციხელაშვილი. ისინი კონფლიქტისპირა სოფლებში მცხოვრებ 40-მდე მოსახლეს შეხვდნენ.

დავით ნარმანიას თქმით, მთავრობა ცდილობს, დვანში შექმნილი ვითარება საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით მოაგვაროს.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

ODIHR-ის კონფერენციაზე საქართველოს უტევენ

საპასუხოდ ქართული დელეგაციიდან ხმას არავინ იღებს

დათო გამისონია

ვარშავაში მიმდინარე საერთაშორისო ფორუმს - The Human Dimension Implementation Meeting (HDIM) რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ კამპანიის წარმოებისთვის იყენებს. ღონისძიებაში საქართველოს ხელისუფლებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

„გაუმჯობესებამდე შეიძლება, ძალიან გაუარესდეს"

ქართული დელეგაცია, საქართველოს პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, სამუშაო ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში იმყოფება.

აშშ-ში გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძეც.

მიხელ სააკაშვილი გაეროს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიას დაესწრება და 25 სექტემბერს სესიის მონაწილეთა წინაშე სიტყვით წარდგება.

გაერო-ში ქართული დელეგაციის ორმხრივ შეხვედრებზე განხილვის ერთ-ერთი მთავარი თემა საოკუპაციო ზოლთან შექმნილი ვითარება იქნება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

კენიაში სავაჭრო ცენტრი ტერორისტებისგან გაწმინდეს

ივა შილაკაძე

კენიის დედაქალაქ ნაირობში სპეცრაზმებმა ელიტური სავაჭრო კომპლექსი „ვესტგეიტი" (Westgate) სომალიში ბაზირებული დაჯგუფება „აშ-შაბაბის" ტერორისტებისგან მთლიანად გაწმინდეს. სამშაბათს, დილას, კენიის თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ოპერაცია თითქმის დამთავრებულია, მძევლები გათავისუფლებულნი არიან და ტერორისტები სპეცრაზმელებს უკვე წინააღმდეგობას აღარ უწევენ.

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA
ISSN 1987 9121

შერმადინი

ზურა თალაკვაძე

ლონდონში, ოთხთა ფინალის პირველ დონეზე ოლიმპიაკოსი" სტაბილურ ფავორიტს, ცსკას დაელაპარაკა. და ოლიმპიაკოსმა" 69:52 გადაშალა ცსკა. გიორგი შერმადინმა იმ თამაშში 5 ქულა, 3 მოხსნა, ორი კარგი მომენტი დატოვა. და შერმადინი ბოლო დონეზე ნაკლებად კარგი იყო. ფინალში, რეალთან". იქ გიოს ცოტა წუთი აჩუქეს და საქართველოს ნაკრების მეორე ცენტრმა 3 ქულა და 2 პასი აკრიფა. 6 წუთში ეს სტატისტიკა მოსაღლებია. 6 წუთში ეს სტატისტიკა ჩვეულებრივია და შერმადინი იწყებს დასვენებას, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

ტრიბუნა „საბა„

საპატიო „საბა" ზურაბ კიკნაძეს გადასცეს

ია ვეკუა

ლიტერატურულ პრემია „საბას" 11 წელიწადი დასჭირდა იმისთვის, რომ პრიზებისა და ოვაციების დასარიგებელი ღონისძიებიდან ტრიბუნად ქცეულიყო, ქართველ მწერლებს საკუთარი ტექსტების დაფასებისთვის მადლობის გარდა სხვა სიტყვებისთვისაც მოეყარათ თავი, საზოგადოებას კი მათ მიმართ ადეკვატური რეაქცია გამოეხატა. კარგია, რომ ეს ქვეყნის ყველაზე აკადემიურ სცენაზე ხდებოდა და არა სადმე ქუჩაში, რაც ძალიან ჩვეულებრივი იქნებოდა; კარგია, რომ ამას ვისმენდით ზრდასრული და ჭკვიანი ადამიანებისგან და არა მხოლოდ პროტესტის გამოხატვის ხიბლს აყოლილი ყმაწვილებისგან;

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

«რთული გასაგებია, რატომ არის დაკავებული ვანო მერაბიშვილი»

«ჩემთვის რთული გასაგებია ის ლოგიკა, თუ რატომ არის დაკავებული ვანო მერაბიშვილი», - ამის შესახებ ჟურნალისტებს სასჯელაღსრულების N9 დაწესებულებაში ყოფილი პრემიერ-მინისტრის მონახულების შემდეგ ევროპარლამენტარმა გუნარ ჰოკმარკმა განუცხადა.

„მოვინახულეთ ვანო მერაბიშვილი. ჩვენთვის ეს შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან შევეცადეთ, გაგვეგო ლოგიკა, თუ რატომ არის ის დაკავებული. ჩვენთვის ეს ძალიან რთული გასაგებია, რადგან მისი დაკავება უნდა იყოს ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობაში და უზრუნველყოფილი, რომ მას ევროპული სტანდარტების შესაბამისად ეპყრობიან. ამაში ვგულისხმობ იმას, რომ მერაბიშვილი დროულად წარდგეს სასამართლოს წინაშე და აგოს პასუხი, როგორც უნდა იყოს ეს ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც კანონის უზენაესობაა. ვითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს სურს, ევროკავშირის წევრი გახდეს. ამ მხრივ ეს საქართველოსთვის კარგი და მიზანშეწონილი არ არის. თვითონ ის ფაქტიც, რომ 4500 მონწმეა დასაკითხი, საკმაოდ უცნაურია. ვურჩევ საქართველოს მთავრობას, რომ ეს სიტუაცია გამოასწოროს," - განაცხადა ჰოკმარკმა.

მისივე თქმით, ასოცირების ხელშეკრულება, რომელიც საქართველომ ევროკავშირთან უნდა დადოს, მხოლოდ შეთანხმება არ არის და ეს გარკვეულწილად ვალდებულებებსაც წარმოადგენს.

„ეს ქვეყანას ავალდებულებს, უფრო მაღალი სტანდარტი ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, როდესაც ვლაპარაკობთ სასამართლოს შესახებ, მიგვაჩნია, რომ სერიოზული არ არის, როდესაც ადამიანი ამდენხანს წინასწარ პატიმრობაშია და მისი სასამართლოს წინაშე წარდგენა ყოვნდება. ამ ყველაფერს ვამბობ, როგორც საქართველოს ნამდვილი მეგობარი," - განაცხადა ევროპარლამენტარმა.

გუშინ სასჯელაღსრულების N9 დაწესებულებაში ვანო მერაბიშვილი ევროპის სახალხო პარტიის ფრაქციის წარმომადგენლებმა - გუნარ ჰოკმარკმა, კრჟიშტოფ ლისეკმა, ტრაიან უნგურეანუმ, ლაიმა ანდრიკიენემ და ინესე ვაიდერემ მოინახულეს.

ბათუმში მოკლული მარიამ კოჩალიძის ოჯახს საცხოვრებლიდან ასახლებენ

ბათუმში მოკლული 17 წლის მარიამ კოჩალიძის ოჯახს დროებითი საცხოვრებლიდან ასახლებენ. როგორც კოჩალიძის დედამ ჟუჟუნა ბერიძემ „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, ბათუმში, ჯავახიშვილის #72 ნომერში წლების განმავლობაში მუშაობს და ცხოვრობს, დღეს კი მიიღო წერილი ფართის დაცლის შესახებ:

„მთავრობას ვთხოვე, ეს ფართი ჩემთვის გადმოეცათ შეღავათიან ფასში. თავის დროზე გავარემონტე და შეძენაც მინდოდა. ჩემი ბინა იპოთეკით დავტვირთე და ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე. აღარც ეს ფართი მომყიდეს, ბინა კი ბანკმა წამართვა. მთავრობას დახმარებას ვთხოვდი, გასვენების დღეს კი წერილი მივიღე, ფართი დაცალეთო. დღესაც მივიღე წერილი, ალბათ გამომასახლებენ და წასასვლელი არსად მაქვს," - აღნიშნა ჟუჟუნა ბერიძემ.

მისივე თქმით, დახმარების თხოვნით რამდენჯერმე მიმართა აჭარის უმაღლეს საბჭოს, აჭარის მთავრობას, ბათუმის საკრებულოს და საპატრიარქოს, თუმცა თხოვნა უშედეგოა.

ამასთან, ჟუჟუნა ბერიძე აღნიშნავს, რომ მისი შვილის გამოძიების საქმეზე ახალი არაფერია:

„დღიური, ტელეფონი, კომპიუტერი, ველოსიპედი, ტანსაცმელი არ დამიბრუნეს. მივაკითხე გამოძიებას, მეუბნებიან, არ დასრულებულა გამოძიებაო, მაჩვენეს 50 სანტიმეტრამდე თაბახის ფურცლები და მითხრეს, ერთი ამდენი კიდევ დაემატებაო," - აღნიშან ჟუჟუნა ბერიძემ.

მარიამ კოჩალიძე 23 ივლისს ბათუმის ახალი ბულვარის ბოლოს მოკლული იპოვეს. მის მკვლელობაში ირანის მოქალაქეა ეჭვმიტანილი.

დემირელის კოლეჯი

აგრძელებს მოსწავლეთა მიღებას I-XII კლასებში და ხსნის

I კლასისთვის მოსამზადებელ ჯგუფს 4-5 წლის ბავშვებისათვის.

ტრადიციულად, დემირელის კურსდამთავრებულებმა წელსაც ისახელეს თავი და ჩაირიცხნენ აშშ-ს, თურქეთის და საქართველოს პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში.

ათმა მოსწავლემ მოიპოვა 100% -იანი გრანტი, ოთხმა მოსწავლემ 70%-იანი გრანტი, შვიდმა მოსწავლემ 50%-იანი გრანტი.

მისამართი: ორთაჭალა გრიშაშვილის N 51

ტ: 2 75 24 58

ოკუპაცია მოცოცავს

პირველი გვერდიდან

„ჩვენ აქ ვიმყოფებით, რათა ერთობლივად გავიაროთ ყველა საკითხი და პრობლემა. იმ საკითხებს, რომლებიც ჩემს უფლებამოსილებას სცდება, ჩემს კოლეგა მინისტრებს მივაწვდი. არსებულ მდგომარეობაზე ხუთშაბათს, მთავრობის სხდომაზე ვისაუბრებ. დვანის შესახებ უნდა ითქვას, რომ ერთი მხრივ, ძალიან არასასურველი მოვლენაა, მეორე მხრივ კი, ამას საფუძველი 2008 წლიდან აქვს. ჩვენი ხელისუფლების პოზიციაა, ეს პრობლემა საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, მშვიდობიანი გზით მოგვარდეს," - განაცხადა მინისტრმა.

რეინტეგრაციის მინისტრის მოადგილის განმარტებით კი, ხელისუფლება რუსულ პროვოკაციას არ უნდა წამოეგოს და ყველანაირად უნდა შეეცადოს, დვანსა და კონფლიქტისპირა სოფლებში შექმნილი ვითარება მშვიდობიანი გზით გადაჭრას.

„დღესაც, სამწუხაროდ, პრობლემა გვაქვს დვანში და ის ფაქტი, რომ ეს 2008 წელს დაიწყო, არანაირად არ ამცირებს ამ პრობლემების სიმწვავეს. მთავრობას ორი ძირითადი ბერკეტი და მექანიზმი აქვს. ჩვენ, ერთი მხრივ, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა სამშვიდობო ინსტრუმენტს ვიყენებთ, ზეწოლა რუსეთზე კიდევ უფრო გაიზრდება და არ მოდუნდება, რადგან ეს არის არაცივილიზებული და სამარცხვინო ფორმა ოკუპაციის გაგრძელებისა და, მეორე მხრივ, ჩვენი სახელმწიფოს პასუხი ამ სამწუხარო მოვლენაზე გახლავთ ის, რომ დავეხმაროთ მოსახლეობას, გამაგრდეს ამ მიწაზე, ჩვენ არსად წასვლას, არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. ამ ადამიანებს უნდა შევუქმნათ ნორმალური ცხოვრების პირობა და სწორედ ამ საჭიროების მოსასმენად და რეაგირებისთვის ვართ აქ," - განაცხადა ქეთევან ციხელაშვილმა.

რუსეთი დიცსა და დვანში განვითარებულ მოვლენებს **„თბილისის პოლიტიკურ სპეკულაციებს"** უწოდებს.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, სერგეი ლავროვის მოადგილე გრიგორი კარასინი ამ თემაზე ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში ფილიპ ლეფორს ესაუბრა. უწყების ცნობით, ლეფორმა ყურადღება გაამახვილა იმ **„პროვოკაციულ ქმედებებზე, რასაც თბილისი სამხრეთ ოსეთის საზღვართან ახორციელებს."**

„ვრცელდება აშკარად ცრუ ინფორმაცია საზღვრის, თითქოსდა, საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში გადაწევის შესახებ. საქართველოს პოლიცია უშუალოდ ერევა „ადგილობრივი მოსახლეობის საპროტესტო აქციის" ორგანიზებაში, რასაც მედიასაშუალებებში ტენდენციური ასახვა მოსდევს, ისევე როგორც ეს 17 სექტემბერს დიცში განვითარებული მოვლენებისას. უკანასკნელ დღეებში კი ხმაურია დვანის რაიონში მიმდინარე ღონისძიებების გამო. გასაგებია, რომ ცხინვალის მიერ ბოლო წლებში გეგმაზომიერად მიმდინარე ღონისძიებები, რომლებიც რუსი მესაზღვრეების ხელშეწყობით ეფექტური სასაზღვრო რეჟიმის დამყარებას ისახავს მიზნად, საქართველოსთვის მიუღებელია. თბილისი მზად არ არის, აღიაროს მიხეილ სააკაშვილის 2008 წლის დანაშაულებრივი სამხედრო ავანტიურის შედეგების შეუქცევადობა. თუმცა, ამ თემაზე ემოციების განზრახ გამძაფრება და პოლიტიკური სპეკულაციები მიუღებელია. ეს რეგიონულ სტაბილურობაზე სერიოზულ გავლენას მოახდენს," - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

რუსეთი იმედოვნებს, რომ ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი და ევროკავშირის მონიტორინგის მისიის დამკვირვებლები, საქართველოში არსებული წინასაარჩევნო ვითარების გათვალისწინებით, სასაზღვრო რაიონებში თბილისის **„უპასუხისმგებლო ნაბიჯებს"** შეაჩერებენ.

„პრაქტიკული ასპექტები, რომლებიც საქართველო-სამხრეთ ოსეთის საზღვარზე არსებულ რეჟიმს ეხება, მშვიდად და კონსტრუქციულად უნდა განვიხილოთ ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ჯგუფის ფარგლებში, რომელმაც საკუთარი ეფექტურობა უკვე დაამტკიცა," - აღნიშნულია რუსეთის საგარეო უწყების განცხადებაში.

დიცსა და დვანში განვითარებულ მოვლენებზე გრიგორი კარასინის შეფასებას ეხმაურება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე. იგი კარასინის შეფასებას პრინციპულად არასწორს უწოდებს და დარწმუნებულია, რომ კარასინს ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში ფილიპ ლეფორი შესაბამის პასუხს გასცემდა.

„დარწმუნებული ვარ, ფილიპ ლეფორის პასუხი იქნებოდა, რომ ეს საქართველოს ტერიტორიაა და მისი ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი ხელშეუხებელი უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, პრინციპულად არასწორი მიდგომაა, როდესაც ბატონი კარასინი ამბობს, თითქოს ჩვენ ხელოვნურად ვძაბავთ სიტუაციას ე.წ სამხრეთ ოსეთის ე.წ სახელმწიფო საზღვართან," - აღნიშნა მინისტრმა.

დვანში მიმდინარე მოვლენები საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ ოფიციალურად დაგმო. **„გორის რაიონის სოფელ დიცში მავთულხლართებისა და ღობეების დამონტაჟების პროცესის განახლების შემდეგ, 2013 წლის 22 სექტემბრიდან რუსეთის საოკუპაციო ჯარებმა ინტენსიურად გააგრძელეს თავისი უკანონო ქმედებები ქარელის რაიონის სოფელ დვანში. სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობა კვლავ მოკლებულია საკუთარ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე შესვლისა და საქმიანობის წარმოების უფლებას. საერთაშორისო თანამეგობრობის მოწოდების მიუხედავად, რუსეთის ფედერაცია კვლავ უხეშად არღვევს ოკუპირებულ და მიმდებარე ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათ შორის, თავისუფალი გადაადგილების, მშობლიურ ენაზე განათლების მიღებისა და სხვა სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს,"** - ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ამასთან, საგარეო საქმეთა სამინისტრო ღრმა შეშფოთებას გამოხატავს იმ ჰუმანიტარულ მდგომარეობის გამო, რომელიც ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსეთის უკანონო ქმედებებმა გამოიწვია და აღნიშნავს, რომ რუსეთი, საერთაშორისო სამართლის თანახმად, ვალდებულია, შეწყვიტოს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ამ მიზნით საგარეო საქმეთა სამინისტრო პარტნიორ ქვეყნებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს სათანადო და ეფექტური ზომების მიღებისკენ მოუწოდებს

„რუსეთის ფედერაციის უკანონო ქმედებები და შექმნილი ჰუმანიტარული მდგომარეობა ცხადყოფს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნისა და ადამიანის უფლებათა მონიტორინგის აუცილებლობას," - აღნიშნულია განცხადებაში.

დიცსა და დვანში განვითარებული მოვლენები კიდევ ერთხელ შეაფასა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა. **„ყოველი არჩევნების წინ, სამწუხაროდ, ასე ხდება,"** - ამბობს უსუფაშვილი. ამასთან, იგი ამ მოვლენებს ოკუპირებული ტერიტორიების პრობლემის გაგრძელებად მიიჩნევს.

„საქართველო ოკუპირებულია. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს არც ერთი წუთით. საქართველოს ერთი კვადრატული მეტრიც რომ იყოს ოკუპირებული, ეს ნიშნავს, რომ საქართველო ოკუპაციის ქვეშ იმყოფება. სამწუხაროდ, ეს მემკვიდრეობა „ნაციონალურმა მოძრაობამ" დაგვიტოვა. ამიტომ ის, რაც ამ დღეებში ხდება, იმ პრობლემის გაგრძელებაა, რომელსაც ერთიანობაში სჭირდება მოვლა," - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

უსუფაშვილი იმედოვნებს, რომ იმ მავთულხლართებს, რომლებსაც რუსი ჯარისკაცები დღეს ავლებენ, შესაძლოა, თავად რუსმა ჯარისკაცებმავე აიღონ. **„ეს ხვალ დილით იქნება თუ ამას რამდენიმე დღე ან რამდენიმე წელი დასჭირდება, ამაზე დღევანდელი სპეკულაციები უპასუხისმგებლობა იქნებოდა. ის ქვეყანა, რომელსაც საქართველოს ამხელა ტერიტორიები აქვს ოკუპირებული და რომელმაც ეს პრობლემა თავისთვისაც ბოლომდე ვერ მოაგვარა, რადგან მთელი მსოფლიო ამ ქვეყნების დამოუკიდებლობას არ აღიარებს, ხედავს, რომ ამ პრობლემის მოგვარების მისეული მცდელობა ჩიხშია შესული. ამიტომ უნდა ვიყოთ ძალზე ფრთხილად, რომ ყოველთვის, როდესაც არჩევნებია, როდესაც პოლიტიკური ცვლილებებია შესაძლებელი, რუსეთის მხრიდან მსგავსი მაპროვოცირებელი ქმედებები იქნება. ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ, მტერს რისი პროვოცირება შეიძლება სურდეს,"** - აცხადებს უსუფაშვილი და დასძენს: **„ჩვენ არ უნდა ვიყოთ იმის მოლოდინში, რომ ყოველდღე ამ საქმის ახალი რეცეპტი გამოჩნდება. მთავარია, არაღიარების პოლიტიკა, საქართველოს ევროპული ინტეგრაცია, ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა, პოლიტიკურ-დემოკრატიული დალაგება. ამ შემთხვევაში ჩვენ აღმოვჩნდებით ყველა იმ საჭირო ბერკეტით, როდესაც შემდეგ ეტაპზე გადასვლაა შესაძლებელი."**

პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა საოკუპაციო ხაზის გასწვრივ მავთულხლართების გავლების შესახებ ევროპის სახალხო პარტიის დელეგაციასთან შეხვედრისას ისაუბრა.

პრემიერმა სტუმრებს ევროპარლამენტის 12 სექტემბერის რეზოლუციაში ასახული მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. რეზოლუცია რუსეთს მოუწოდებს, შეწყვიტოს ზეწოლა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებზე და პატივი სცეს მათ სუვერენულ უფლებას - თავად აირჩიონ პოლიტიკური კურსი.

რუსეთის საოკუპაციო ჯარის ქმედებებს ამერიკიდან გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილი მთავრობას მოუწოდებს, რუსეთთან **„კუდის ქიცინს"** თავი დაანებოს და შიდა ქართლში მიმდინარე პროცესების გასაპროტესტებლად საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზება მოახდინოს.

პრეზიდენტის განცხადებით, საქართველოში ყველა პოლიტიკურმა ძალამ ერთად უნდა დაიცვას ქვეყნის ინტერესი.

„ბოლო თვეების განმავლობაში ჩვენ დავკარგეთ კონტროლი უფრო მეტ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, ვიდრე იყო ქურთაში და თამარაშენში და თან ამის შესახებ, პრაქტიკულად, ვერავინ გაიგო. ეს ისე გაკეთდა, რომ რუსეთს არანაირი პოლიტიკური ფასი არ გადაუხდია. ხშირად ამბობდნენ - ყველაფერი იმის ბრალი იყო, რომ პუტინი მე ვერ მიტანდა. ახლა ხომ დავრწმუნდით, რომ საქართველოს სუვერენიტეტულ საზღვრებზე გეგმაზომიერ შეტევას აქვს ადგილი, მიუხედავად იმისა, ვინ არის საქართველოს ხელისუფლებაში?!" - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ქვეყნის პირველი პირი მიიჩნევს, რომ საქართველოსთვის საკუთარი პოზიციების დაცვის ერთადერთი შანსი საერთაშორისო მხარდაჭერის შენარჩუნებაა.

„საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბოლო თვეებში დასავლურ გამომცემლებთან ინტერვიუებში ამბობს, რომ ომი საქართველომ დაიწყო, ამბობს იმასაც, რომ ჩვენს ქვეყანას, თურმე, არ უნდა ჰქონდეს არც მსოფლიო და არც რეგიონული ამბიციები. თუ არანაირი ამბიციები არ გვაქვს და ყველაფერი ჩვენი ბრალი იყო, ვინ მოვა ჩვენს დასაცავად?! ჩვენი ოფიციალური პირებიდან გაქრა სიტყვა „ოკუპაცია", ამერიკელებმა და ევროპელებმაც შეწყვიტეს ოკუპაციაზე ლაპარაკი. ეს არის უპრეცედენტო ფაქტი საქართველოს ისტორიაში," - აღნიშნა საქართველოს პრეზიდენტმა.

სააკაშვილის განცხადებით, ახლა საერთაშორისო საზოგადოების პოზიციების მობილიზაციის და ამ კუთხით ჩვენი ერთიანობის დემონსტრირების დროა.

„საქართველოს პრემიერი არ ყოფილა ოფიციალური ვიზიტით მიწვეული არც ამერიკაში და არც დასავლეთ ევროპის რომელიმე ქვეყანაში. ამასობაში კი ჩვენი პროკურორი ერთი კვირა იმყოფებოდა ოკუპანტის დედაქალაქ მოსკოვში. ამას გარდა, ბევრი სხვა გაუგებარი რევერანსი გაკეთდა. ახლა კუდის ქიცინის და წაწოლის დრო არ არის - რაც უფრო წავწვებით, მით უფრო ადვილად გადაგვივლიან. ახლა საერთაშორისო საზოგადოების პოზიციების მობილიზაციის და ამ კუთხით ჩვენი ერთიანობის დემონსტრირების დროა. რუსეთს ამ საკითხებში ცბიერებით და ეშმაკობით ვერავინ მოუგებს. რუსეთის ოკუპაციის უკან დახევა შესაძლებელია მხოლოდ მწყობრი საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვების პირობებში და არა იმ პირობებში, როდესაც ამერიკის კონგრესი საქართველოში დემოკრატიის შესახებ იღებს რეზოლუციას. ადრე იღებდნენ რეზოლუციას, რომ საქართველოს დეოკუპაცია უნდა მოხდეს, ახლა კი მზადდება რეზოლუციები დემოკრატიასა და სხვადასხვა ასეთ თემებზე. ჩვენ ახლა გვჭირდება ერთიანობა გაეროში - უნდა ვილაპარაკოთ ამ საკითხზე, მაგრამ მხოლოდ ჩემი ლაპარაკი არ არის საკმარისი. ყველა ქართულმა პოლიტიკურმა ძალამ და მეც - ყველამ ერთად უნდა გამოვიჩინოთ სიმტკიცე და გამოვავლინოთ, რომ გვიყვარს ჩვენი სამშობლო და მზად ვართ, მისთვის ვიბრძოლოთ," - განაცხადა პრეზიდენტმა.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ოფიციალურ ვებგვერდზე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლებმა მაიკლ ასტრუპ იანსენი და ბორის სილევიჩმა განცხადება გაავრცელეს, რომელშიც განსაკუთრებული შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე რამდენიმე ადგილას რუსმა სამხედროებმა სხვადასხვა სახის დაბრკოლებები აღმართეს, რითიც დე ფაქტო საზღვრები გადმოწიეს.

„ეს ღობეები და დაბრკოლებები არღვევს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას და საზიანოა სასაზღვრო ზონაში მცხოვრებთა საცხოვრებელი პირობებისთვის, მიუხედავად იმისა, საზღვრის რომელ მხარეს ცხოვრობენ ისინი. მოვუწოდებთ რუსეთს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებას, შეაჩერონ ასეთი ტიპის საზღვრების მშენებლობა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მცხოვრებ მოქალაქეებს თავისუფლად გადაადგილების საშუალება მისცენ," - აცხადებენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის თანამომხსენებლები.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:

მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.

რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)

სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი

რედაქციის მისამართი: ქ. თილისი, ვაჟა-ფშაველას 45, 14-ე სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

ODIHR-ის კონფერენციაზე საქართველოს უტევენ

ვირველი გვერდიდან

მათ შორისაა „იდენტობის“ ხელმძღვანელი ირაკლი ვაჭარაძე. იგი გუშინდელ შეხვედრაზე განვითარებული მოვლენის გამო „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე წუხილს გამოთქვამდა. ვაჭარაძის ინფორმაციით, კონფერენციაზე ერთ-ერთი გამომსვლელი, რომელიც „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის“ სახელით საუბრობდა, ჩიოდა, რომ ამჟამად მცხეთაში ოსების ეთნიკური წმენდა მიმდინარეობს, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას ადამიანობა არ ჰყოფნის იმისთვის, რომ ამ რეგიონში მაინც შექმნას ადამიანური პირობები.

ირაკლი ვაჭარაძის ინფორმაციით, კონფერენციაზე საქართველოს წინააღმდეგ მასობრივი შეტევაა. **„ახლა ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ კანონს თავს ესხმის ვიღაც ქალი „საერთაშორისო ორგანიზაციებიდან“ (არ აწერია, ვინ არის). ეს კანონი ვენეციის კომისიამ უკანონოდ გამოაცხადაო და საქართველოს კონსტიტუციასაც ეწინააღმდეგებაო. და საქართველოს ბლოკადა აქვს გამოცხადებული აფხაზებისთვისო. ხალხი ვერ დაფრინავს, მატარებლები ვერ დადიან. უშველეთ აფხაზებსო. არც ერთი სიტყვა დევნილებზე!“** - შენიშნავდა ვაჭარაძე კონფერენციიდან.

ირაკლი ვაჭარაძე უკმაყოფილებას იმის გამო გამოთქვამს, რომ კონფერენციაზე მყოფ საქართველოს ოფიციალურ წარმომადგენლებს ხმა არ ამოუღიათ. **„ეუთო-ს კონფერენციაზე სამი სხვადასხვა გამომსვლელი დაესხა თავს საქართველოს და არავინ, აბსოლუტურად არავინ შეეპასუხა საქართველოს დელეგაციიდან,“** - დასძენს ვაჭარაძე. მისვე ინფორმაციით, სომხეთის და აზერბაიჯანის წარმომადგენლებმა ერთმანეთთან საკამათოდ დამატებითი დრო ოთხჯერ გამოიყენეს.

„24 საათი“ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკავშირდა. როგორც პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტში აღნიშნავენ, კონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის რეგისტრაციის გავლა თავისუფალია და მითითებული არ არის, ესა თუ ის ორგანიზაცია რომელ ქვეყანას წარმოადგენს (მაგიდაზე დევს წარწერა NGO და მის უკან შესაძლოა, აფხაზები ან ოსები იყვნენ). სამინისტროს ინფორმაციით, აფხაზები და ოსები კონფერენციებში 2008 წლიდან მონაწილეობენ.

როგორც „24 საათს“ აცნობეს, კონფერენციაზე საქართველოს მთავრობას ეუთო-ში საქართველოს მისიის ხელმძღვანელის მოადგილე ალექსანდრე მაისურაძე წარმოადგენს. ამასთან, ღონისძიებას იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ბექა ძამაშვილი ესწრება. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროში აღნიშნავენ, კითხვათა რაოდენობის გამო, საქართველოს წარმომადგენელს პასუხის გაცემის საშუალება დღეს მიეცემა. **„საქართველოს ოფიციალური წარმომადგენლები გამომსვლელებს უპასუხებენ, მაგრამ კარგი იქნება, თუ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციებიც იაქტიურებენ,“** - განუცხადეს „24 საათს“ პრესისა და ინფორმაციის დეპარტამენტში.

რაც შეეხება კონფერენციის თემატიკას, ჰელსინკის 1992 წლის დოკუმენტი ეუთო-ს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისს («ოდირი»), როგორც ჰუმანიტარული განზომილების ძირითად ინსტიტუტს, მანდატს აძლევს, ორგანიზება გაუწიოს შეხვედრას, რათა ეუთო-ს წევრმა სახელმწიფოებმა ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით დამატებითი ვალდებულებები აიღონ. კონფერენციის მიზანია ასევე ვალდებულებების იმპლემენტაციის შესრულება და მისი მონიტორინგის შეფასება.

1998 წლიდან ღონისძიება ყოველწლიურად ვარშავაში, ორი კვირის განმავლობაში იმართება. კონფერენციაში ეუთო-ს წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, ეუთო-ს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მონაწილეობენ.

ამჟამინდელი ღონისძიება, მუდმივმოქმედი საბჭოს გადაწყვეტილებით, 23 სექტემბერს დაიწყო და 4 ოქტომბერს დასრულდება. საბჭოს მიერ დამტკიცებული დღის წესრიგის თანახმად, ძირითადი განსახილველი საკითხებია ტოლერანტობა და არადისკრიმინაციულობა, რომლის დროსაც ეთნიკური უმცირესობების პრობლემები, აგრესიული ნაციონალიზმის პრევენციის, რასიზმისა და შოვინიზმის შემთხვევები განიხილება. გარდა ამისა, კონფერენციის მონაწილეები გენდერული თანასწორობის შესახებ მსჯელობენ.

კონფერენციის მომდევნო დღეები ფუნდამენტურ თავისუფლებებს, გამოხატვის თავისუფლებას, ინფორმაციისა და მედიის თავისუფლებას, ჟურნალისტების უფლებების დაცვას მიეძღვნება. მონაწილეები ასევე იმსჯელებენ ადამიანის უფლებების დაცვაში სამოქალაქო საზოგადოების როლის შესახებ.

ღონისძიებაზე სპეციალურად შერჩეული საკითხია რელიგიის თავისუფლება, აგრეთვე - შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება. ყურადღება ეთმობა არჩევნებს, სასამართლოს დამოუკიდებლობას, კანონის უზენაესობას, წამების აკრძალვას, ლტოლვილების და იძულებით გადაადგილებული პირების საკითხებს.

„პოლიციის შესახებ“ კანონი იცვლება

დათო გამისონია

შინაგან საქმეთა სამინისტროს საქმიანობას „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონი დაარეგულირებს, რომლის მიღებაც მიმდინარე კვირის რიგგარეშე სესიაზეა დაგეგმილი. კანონპროექტის მომხსენებელი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ლევან იზორია ირწმუნება, რომ აღნიშნული კანონპროექტი თუ ცენტრალურ ევროპაში არა, აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესოა. მისი თქმით, მოქმედი კანონი, რომელიც 1993 წელს არის მიღებული, პრაქტიკულად საბჭოთა კავშირის მილიციის კანონის გადმონაშთია. იზორიას შეფასებით, მოქმედი კანონმდებლობა აბსტრაქტული და დეკლარირებული ხასიათისაა და ბევრ განუსაზღვრელ ნორმას შეიცავს. როგორც იზორია ამბობს, კანონი სამართლებრივი სახელმწიფოს მთავარ პრინციპს არ პასუხობს. მინისტრის მოადგილე აზუსტებს, რომ კანონმდებლობაში საპოლიციო ღონისძიებები მაქსიმალურად კონკრეტულად უნდა განისაზღვროს. **„პოლიციელმა თავისი მოქმედების ფარგლები უნდა იცოდეს, ხოლო თუ მოქალაქისთვის ცნობილია, სად მთავრდება პოლიციელის უფლებამოსილება, მოქალაქის უფლებების დაცვა მეტად გარანტირებულია,“** - აღნიშნავს ლევან იზორია.

გასულ კვირას კანონპროექტის პირველი მოსმენით განხილვისას იზორია აღნიშნავდა, რომ კანონპროექტში ცალკე თავი პოლიციური ღონისძიებების ჩამონათვალს ეთმობა და მასში კონკრეტულად არის გაწერილი, პოლიციელს რა გარემოებების შემთხვევაში შეუძლია კონკრეტული საპოლიციო ღონისძიებების ჩატარება. ლევან იზორია მნიშვნელოვან სიახლედ კანონპროექტში შესულ ტერმინთა განმარტებას მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ ისეთი ბუნდოვანი ტერმინი, როგორიცაა „დასაბუთებული ვარაუდი,“ კანონმდებლობაში აღარ იქნება.

კანონპროექტით ასევე შემოდის პოლიტიკური ნეიტრალურობის პრინციპი. როგორც იზორია ამბობს, პოლიციელს თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილების რომელიმე პარტიის სასარგებლოდ გამოყენების უფლება არ ექნება.

კანონპროექტის ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ახალ კანონში ამოსავალი პრინციპი პოლიციის პრევენციული ფუნქციები იქნება. **„პოლიციის მთავარი ამოცანაა არა ჩასაფრება და დევნა, არამედ საზოგადოებასთან თანამშრომლობა. ბუნებრივია, პოლიცია სისხლის სამართლის დევნაზე უარს არ ამბობს, მაგრამ მთავარი იქნება დანაშაულის თავიდან აცილება,“** - აღნიშნავს ლევან იზორია.

საპარლამენტო უმცირესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი კანონმდებლობაში დაგეგმილ რამდენიმე ცვლილებას შემაშფოთებლად მიიჩნევს. **„კანონპროექტი პირდაპირ აკანონებს შევარდნაძის დროინდელი მილიციისთვის დამახასიათებელ „რეიდებს“, რომელსაც სპეციალური ტერმინი „სპეციალურ-პოლიციური კონტროლი“ დაერქმევა. ასევე, პოლიციელის მიერ დაუზუსტებული მოტივით მოქალაქეებისთვის დაკავება-შეჩერების, პირადი და ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და ნივთების ჩხრეკის დაკანონება იგეგმება. პრეზიდენტმა რამდენიმე თვის წინათ მიმართა პარლამენტს ინიციატივით, რომ მთლიანად გაუქმებულიყო პოლიციის მიერ ადამიანის თავისუფალი გადაადგილებისა და პირადი ხელშეუხებლობის შეზღუდვის უფლება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და შესაბამისი დამცავი გარანტიების გვერდის ავლით, თუმცა ხელისუფლებამ ამ მიდგომას მხარი არ დაუჭირა,“** - ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი.

პარლამენტარის შეფასებით, კანონი პოლიციის თანამშრომელთა სამართლებრივი დაცვის გარანტიებსაც აუარესებს. **„გათავისუფლების საფუძვლებს ემატება აქამდე არარსებული მოტივები - „საშტატო-საორგანიზაციო ღონისძიებები“ და „სტრუქტურული ქვედანაყოფის ლიკვიდაცია“. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, არც ერთი საჯარო მოხელე ამ მოტივით სამსახურიდან არ შეიძლება გათავისუფლდეს. პრაქტიკულად, ეს ნიშნავს, რომ კანონის მიღებისთანავე პოლიციელთა მასობრივი გათავისუფლებები დაიწყება; ამასთან, „პოლიციის შესახებ“ ახალი კანონით, პოლიციაში მუშაობის დასაწყებად კონკურსისა და პოლიციის აკადემიის სპეციალური მოსამზადებელი სასწავლო კურსის გავლა სავალდებულო აღარ იქნება; კანონპროექტით ასევე მცირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს ანგარიშვალდებულებითი მოვალეობები ფინანსური საქმიანობის გამჭვირვალობისა და მიზნობრიობის ნაწილში. შინაგან საქმეთა სამინისტროში შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა, 2014 წლის პირველი იანვრის ნაცვლად, 2016 წლამდე გადავადდება,“** - ამბობს ჩიორა თაქთაქიშვილი.

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც ჩიორა თაქთაქიშვილი ყურადღებას ამახვილებს, კანონმდებლობიდან პოლიციაში მუშაობის დასაწყებად დაწესებული მაქსიმალური ასაკობრივი ზღვარის - 35 წლის ამოღებაა. **„შეიძლება კამათი იმის შესახებ, 35 წელი უნდა იყოს თუ 40, მაგრამ ნათელია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დეკლარირებული პოლიტიკა ღიპიანი გაის პოლიციელების დაბრუნებაა,“** - აღნიშნავს ჩიორა თაქთაქიშვილი.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საპარლამენტო უმრავლესობას მოუწოდებს, კანონის განხილვები შეაჩეროს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების ჩართულობით საჯარო განხილვები მოაწყოს.

ოპონენტს ლევან იზორია პასუხობს: **„ის თავის ამომრჩევლებს აშკარა სიცრუეს ეუბნება. მინდა, საზოგადოებას დოკუმენტალურად ვაჩვენო, რომ ეს ქალბატონი იტყუება. ის ამბობს, რომ „რეიდებს“ აკანონებენ და რომ ამით, თითქოსდა, შევარდნაძისეულ ეპოქას და მილიციას უბრუნდებიან. მინდა, ქალბატონ ჩიორას გარკვევით და კონკრეტულად ვუთხრა, რომ ახლო წარსულში თვითონ იყო ერთ-ერთი ინიციატორი ე.წ. „რეიდების“ დაკანონებისა, რომელიც მოქმედ კანონშია,“** - ამბობს ლევან იზორია.

პოლიციის კანონმდებლობის შესახებ გამართულ მსჯელობას პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი გამოეხმაურა. მისი აზრით, პოლიციის მოწყობის საკითხზე „ნაციონალურ მოძრაობასთან“ ოპონირებაში დიდი დროის დახარჯვა არასწორია. უსუფაშვილის თქმით, ხელისუფლება საერთაშორისო ექსპერტებს, იმ ქვეყნების წარმომადგენლებს, სადაც პოლიცია ხალხისა და ქვეყნის დაცვის მექანიზმად აქციეს და არა ქვეყნისა და ხალხის მთავარ საფრთხედ, დიდი სიამოვნებით მოუსმენს. **„ცხადია, ამ ყველაფერს გავითვალისწინებთ, მაგრამ „ნაციონალური მოძრაობა“ არ უნდა გვესაუბრებოდეს იმის შესახებ, თითქოს ჩვენ ამ კანონით პოლიციის გაუარესება გვინდა. მე კითხვას ასე ვსვამ - ვანო მერაბიშვილის პოლიციის გაუარესება თეორიულად შესაძლებელია? ვფიქრობ, გაუარესება შეუძლებელია. ამიტომ, პოლიცია ქვეყანაში უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი გახდება, მაგრამ ქვეყნის ხერხემალი იქნება მოქალაქე, თავისუფლება, პოლიტიკური არჩევანი, დაბალანსებული ხელისუფლება, კონსტიტუცია,“** - აცხადებს დავით უსუფაშვილი.

გირგვლიანის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული დავით ჩხიტუნიძე ათენის ციხიდან გაათავისუფლეს

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენინსპექციის ყოფილი უფროსი დავით ჩხიტუნიძე ათენის საექსტრადიციო ციხიდან გაათავისუფლეს. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ჩხიტუნიძის ადვოკატმა ვახტანგ თალაკვაძემ განუცხადა. ადვოკატის თქმით, მისი დაცვის ქვეშ მყოფი, რომელიც სანდრო გირგვლიანის საქმეზეა ბრალდებული, საქართველოში დაბრუნებას და ჩვენებების მიცემას აპირებს.

თალაკვაძის განმარტებით, ათენის ციხიდან ჩხიტუნიძე მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ადვოკატებმა სასამართლოს მიაწოდეს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ ჩხიტუნიძის დიპლომატიურ პასპორტს ვადა გასული არ ჰქონია.

„დავით ჩხიტუნიძე ათენში უკანონოდ დააპატიმრეს - ვადაგასული დიპლომატიური პასპორტის საფუძველზე. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, პასპორტის მოქმედების ვადა გაგრძელებული იყო და ათენის სასამართლოს აღნიშნული დოკუმენტები წარედგინა, რის შემდეგაც ჩხიტუნიძე გაათავისუფლეს,“ - განაცხადა ვახტანგ თალაკვაძემ.

ამასთან, ადვოკატმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ დავით ჩხიტუნიძე ინტერპოლით ძებნილი არ ყოფილა და სიმართლეს არ შეესაბამება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს იგი საქართველოს მოთხოვნის საფუძველზე ინტერპოლმა დააკავა.

„შესული მასალების მიხედვით ინტერპოლში თვეების განმავლობაში განიხილავენ, უნდა გამოცხადდეს თუ არა ძებნილად პირი. ჩხიტუნიძე ინტერპოლით ძებნილი არ ყოფილა,“ - განაცხადა თალაკვაძემ.

რაც შეეხება დავით ჩხიტუნიძის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ადვოკატი აცხადებს, რომ ათენის ციხეში ცემის შემდეგ მისი დავის ქვეშ მყოფს სარეაბილიტაციოდ დრო სჭირდება, რის შემდეგაც საქართველოში ჩამოსვლას აპირებს.

„ვესაუბრე ჩხიტუნიძეს. გადაწყვეტილი აქვს ჩამოსვლა, თუმცა სარეაბილიტაციო პერიოდი სჭირდება. როგორია, კამერაში 30 კაცი რომ შემოგივარდება და გცემს. მისი ფსიქოლოგიური მდგომარეობაც რთულია. ვერ ვიტყვი, რომ დღეს ან ხვალ, თუმცა დაბრუნდება და წარდგენილ ბრალდებას პასუხს გასცემს,“ - განაცხადა ადვოკატმა.

ათენში ჩხიტუნიძე თურქეთში გამგზავრების მცდელობისას დააკავეს. ამ ფაქტის შესახებ საქართველოს შსს-მ განცხადება გაავრცელა, რომლის მიხედვითაც, „ინტერპოლით ძებნილი ბრალდებული საბერძნეთის სამართალდამცველებმა ქართული მხარის მოთხოვნის საფუძველზე აიყვანეს“. სანდრო გირგვლიანის საქმეზე დავით ჩხიტუნიძეს ბრალად წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, რაც სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას გულისხმობს.

რაც შეეხება ეპიზოდს, ჩხიტუნიძეს ბრალდება გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებულ პირთა ციხეში პრივილეგირებულად ყოფნაში ხელშეწყობა.

ჩხიტუნიძე იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილედ მუშაობდა.

გამოსაშვები გამოცდები 12 ოქტომბრიდან დაიწყება

საქართველოს მასშტაბით გამოსაშვები გამოცდები 12 ოქტომბრიდან დაიწყება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ გამოცდების ეროვნული ცენტრიდან აცნობეს, ყველა რაიონის 1600-ზე მეტ სკოლაში მოსწავლეები გეოგრაფიის დავალებებზე მუშაობას 09:00 საათზე დაიწყებენ. საგამოცდო პროცესში 2000-ზე მეტი მეთვალყურეა ჩართული.

2013 წლიდან გამოსაშვები გამოცდები ორ ეტაპად ჩატარდება - ოქტომბრის პირველ ნახევარში მე-12 კლასელები გამოცდებს 4 საგანში ჩააბარებენ - ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია.

იმ მოსწავლეებს, რომლებიც ოქტომბერში რომელიმე გამოცდაზე ზღვარს ვერ გადალახავენ ან გამოცდაზე ვერ გამოცხადდებიან, შესაძლებლობა ექნებათ, შესაბამისი საგანი წლის ბოლოს ჩააბარონ დანარჩენ 4 გამოცდასთან (ქართული ენა და ლიტერატურა, უცხოური ენა, მათემატიკა, ისტორია) ერთად.

ცვლილების თანახმად, 2013-2014 სასწავლო წლიდან კი გამოსაშვები გამოცდები მე-11 და მე-12 კლასებში გაიმართება. მე-11 კლასის მოსწავლეები სასწავლო წლის ბოლოს იმ საგნებს ჩააბარებენ, რომელთა სწავლაც დაასრულეს. როგორც შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში აცხადებენ, ახალი სქემა დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის ბევრად უფრო მოსახერხებელი იქნება.

მოსწავლემ გამოცდაზე უნდა იქონიოს მხოლოდ საგამოცდო ბარათი, პირადობის მოწმობა და კალამი. მას უფლება აქვს, ჰქონდეს პირადი ჰიგიენის ნივთები (მაგ. ცხვირსახოცი) და წყალი პლასტმასის ბოთლით.

„გაუმჯობესებამდე შეიძლება, ძალიან გაუარესდეს“

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ქართული დელეგაცია მონაწილეობას მიიღებს ევროკავშირის მიერ ორგანიზებულ ფორუმში - „აღმოსავლეთის პარტნიორობა“. დაგეგმილია შეხვედრები ევროკავშირის პოლიტიკურ დირექტორებთან. მიხეილ სააკაშვილი სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის სამიტსა და სამართლიანობისა და 2015 წლის შემდგომი განვითარების მიზნებთან დაკავშირებულ მიღებასაც დაესწრება. საქართველოს პრეზიდენტი ასევე მიწვეულია გაერო-ს გენერალური ასამბლეის 68-ე სესიის გახსნის აღსანიშნავად მოწყობილ მიღებაზე.

მიხეილ სააკაშვილს გაერო-ს გენერალურ ასამბლეაზე წელს პრეზიდენტის რანგში ბოლო გამოსვლა აქვს.

24 სექტემბერს საქართველოს პრეზიდენტი აშშ-ს პრეზიდენტს შეხვდა. მიხეილ სააკაშვილისა და ბარაკ ობამას შეხვედრის შესახებ ინფორმაცია საქართველოს პრეზიდენტის „ფეისბუქის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა. მიხეილ სააკაშვილმა საპრეზიდენტო ვადის დასასრულს აშშ-ს პრეზიდენტს ორ ქვეყანას შორის არსებული თანამშრომლობისთვის მადლობა გადაუხადა. ბარაკ ობამა მიხეილ სააკაშვილის სამომავლო გეგმებით დაინტერესდა.

„თქვენ ძალიან მნიშვნელოვან მემკვიდრეობას ტოვებთ დემოკრატიული, რეფორმირებული საქართველოს სახით. რა გეგმები გაქვთ პრეზიდენტობის ვადის ამოწურვის შემდეგ?“ - მიმართა აშშ-ს პრეზიდენტმა სააკაშვილს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, მისი სამომავლო გეგმები, პოლიტიკის გარდა, საგანმანათლებლო სისტემასაც ეხება. კერძოდ, მიხეილ სააკაშვილი თბილისში საპრეზიდენტო ბიბლიოთეკის გახსნას გეგმავს. აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნული იდეა მოიწონა.

„მინდა, დიდი მადლობა გითხრათ, რომ რუსეთში ვიზიტისას პრინციპული პოზიცია დაიკავეთ. ახლა ძალიან სარისკო პერიოდში ვართ. საბოლოოდ სიტუაცია აუცილებლად გამოსწორდება, მაგრამ თქვენივე სიტყვების პერიფრაზი რომ გავაკეთო, გაუმჯობესებამდე შეიძლება, ძალიან გაუარესდეს. ასევე, დიდი მადლობა ყველაფრისთვის, რაც საქართველოსთვის გააკეთეთ და გთხოვთ, ყურადღება არ მოადუნოთ,“ - მიმართა სააკაშვილმა ობამას.

საქართველოს პრეზიდენტი თავის პოლონელ კოლეგასაც შეხვდა. საუბრის მთავარი თემა ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობისა და თანამშრომლობის გაღრმავება იყო.

ბრონისლავ კომოროვსკიმ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ პოლონეთი კვლავაც აქტიურად უჭერს მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. შეხვედრისას ორი ქვეყნის ლიდერებმა რეგიონული უსაფრთხოების საკითხებიც განიხილეს.

საქართველოს დელეგაციის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ხუთი დღის განმავლობაში სამოცამდე შეხვედრაა დაგეგმილი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ერთად არც ერთ შეხვედრას არ დაესწრებიან, მათი ყველა შეხვედრა პარალელურად იმართება. თუმცა, მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლისას საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია დარბაზში იქნება.

მიხეილ სააკაშვილის გამოსვლის მთავარი თემა საოკუპაციო ხაზზე განვითარებული მოვლენები იქნება.

„მავთულხლართების შესახებ ჯონ კერისთან მიღებისას მქონდა საუბარი და საკმაოდ დეტალური. კარგია, რომ ამის შესახებ ეუთო-ში ამერიკელების მისიამ გააკეთა განცხადება. მაგრამ ჩვენ, რა თქმა უნდა, მათთან მუშაობა უნდა გავაგრძელოთ, რადგან უკვე იკვეთება სერიოზული კრიზისის ნიშნები, სერიოზული შემოტევის ნიშნები ქართულ სახელმწიფოებრიობაზე. ასევე გუშინ პრეზიდენტ ობამასთან ხანმოკლე, მაგრამ თბილი საუბარი გვქონდა და ვთხოვე, ყურადღება არ მოადუნონ, რადგან მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება ამ მაღალ დონეზე იყოს. ახლა საქართველოს ჰყავს ძალიან კარგი ელჩი, კახა იმნაძე, რომელიც სულ სხვა პოლიტიკური ბანაკიდან იყო, მაგრამ არ შემიძლია, მისი პროფესიონალიზმი არ დავაფასო. აქ კარგი კომუნიკაცია მაქვს საგარეო საქმეთა მინისტრთან, მას თავისი შეხვედრები აქვს, მე ჩემი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს თემაზე ყურადღება არ მოდუნდეს, რადგან ახლა რუსეთთან ძალიან საშიშ პერიოდში ვიმყოფებით. საბოლოო ჯამში, ყველაფერი თავის ადგილზე დადგება, მაგრამ ვშიშობ, მოკლევადიან პერიოდში სიტუაცია ბევრად უფრო გაუარესდება და ამიტომ ყველა ძალიან ფოკუსირებულნი და ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ,“ - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კოორდინირებულად მუშაობს და მზად არის, საგარეო უწყებისგან გამოსვლის ტექსტის შესახებ შენიშვნები და რეკომენდაციები მიიღოს.

„რუსეთს აგრესიული ინსტინქტები სულ უფრო უძლიერდება. მე ამ თემაზე ვამზადებ ხვალისთვის ჩემს ძალიან ვრცელ, დეტალურ გამოსვლას. ჩემი გამოსვლის ტექსტი წინასწარ ექნება საგარეო საქმეთა სამინისტროს, მათგან ყველანაირ რეკომენდაციებს მივიღებ და შენიშვნებისთვის გახსნილი ვარ. კარგი სამუშაო ურთიერთობა და კონტაქტი გვაქვს. ერთად ვმუშაობთ არაღიარების თემაზე და აქაც ბევრი აზრთა გაცვლა-გამოცვლა იყო. ასე რომ, საგარეო საქმეთა სამინისტროში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ მიუხედავად პოლიტიკური რყევებისა, იქ არის სახელმწიფო აპარატი, რომელიც პრინციპში ჯანსაღია. ამიტომ, ვინც არ უნდა იყოს მომავალში პრეზიდენტი, ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვიმუშაოთ, რადგან საქმე ეხება საქართველოს გრძელვადიან ინტერესებს,“ - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტმა ასევე ყურადღება გაამახვილა ლიტვის პრეზიდენტის განცხადებაზე. სააკაშვილის თქმით, რამდენიმე დღის წინ ლიტვის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ დროა, ევროპა მოლდავეთსა და უკრაინაზე გადაერთოს, რადგან საქართველოს ევრაზიის კავშირში გაწევრიანების სურვილიც აქვს. ამას საქართველოს პრეზიდენტი სახიფათო ტენდენციად მიიჩნევს.

„რამდენიმე დღის წინ ლიტვის პრეზიდენტმა მსგავსი რაღაც თქვა, რომ ახლა მოდით, ვიბრძოლოთ უკრაინისთვის და მოლდავეთისთვის, რადგან საქართველოს ევრაზიულ კავშირშიც აქვს ინტერესი და ამიტომ, მოდით, დანარჩენ ორ ქვეყანაზე გადავერთოთ. ეს ჩვენთვის ევროკავშირის პრეზიდენტის მხრიდან შემაშფოთებელი განცხადებაა. მე არ ვიცი, პრემიერ-მინისტრმა ზუსტად რა ილაპარაკა, მაგრამ ჩვენ ჩვენს ევროპელ პარტნიორებს ვუხსნით, რომ ერთია, რას ილაპარაკებს პრემიერ-მინსიტრი და მეორეა ქართველი ხალხის ნება და ქართველი ხალხის ნებაა ევროპაში ინტეგრაცია,“ - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

საქართველოს პრეზიდენტის ამ განცხადებას საგარეო უწყების ხელმძღვანელი მაია ფანჯიკიძე გამოეხმაურა. მისი თქმით, ლიტვის პრეზიდენტის ნათქვამი არასწორად იქნა გაგებული.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲔᲑᲘ
ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝ ᲤᲐᲡᲨᲘ

ᲐᲑᲘᲢᲣᲠᲔᲑᲘ, ᲢᲔᲡᲢᲔᲑᲘ, ᲡᲐᲐᲢᲔᲡᲢᲐᲪᲘᲝ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ
ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲛᲮᲛᲐᲠᲔᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐ.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲡᲐᲙᲐᲜᲪᲔᲚᲐᲠᲘᲝ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘ

ᲕᲐᲥᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ 43,
„ᲓᲔᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲢᲠᲝᲡᲗᲐᲜ“
ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ

595 11 32 33
571 11 32 33

ტრიბუნა „საბა„

პირველი გვერდიდან

წლევანდელი „საბა“ სწორედ ის „საბაა“, რომელიც ალბათ ყველაზე მეტად შედგა და არა მხოლოდ დადგენილი სცენარიდან მოულოდნელი გადახვევების გამო - ძალიან კარგი წიგნების ავტორები შინ პრიზებით დაბრუნდნენ.

თავდაპირველად სულ ცოტა დაჯილდოების ცერემონიალის შესახებ: 9 წლის განმავლობაში „საბა“ ღია ცის ქვეშ იმართებოდა (ჯერ მთაწმინდაზე, შემდეგ თიბისის სათავო ოფისის ეზოში). ღონისძიება საშუალოდ ერთ საათს გრძელდებოდა, თბილისის ბიგ ბენდი ჯაზის სტანდარტებს ასრულებდა, ბოლოს ყველა გამარჯვებული საერთო ფოტოს იღებდა და დღესასწაულიც ასე სასიამოვნოდ და უპრეტენზიოდ სრულდებოდა. შარშან ცერემონიალმა რუსთაველის თეატრში გადაინაცვლა (აქვე ჩატარდა წელსაც) და თითქოს გაჩნდა ვალდებულება, რომ საღამოს ზედმეტად აკადემიური სახე მიეღო. ბიძინა კვერნაძის შემოქმედებისადმი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, ალბათ უპრიანი იქნებოდა მისი შემოქმედებითი საღამო ცალკე ჩატარებულიყო, ეკა მამალაძეს, ლიზა ბაგრატიონს, ნატო მეტონიძესა და სხვებს სწორედ იქ ემღერათ, მით უფრო, რომ დარბაზში ქართული მწერლობის ასაკოვანი წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ, ვისთვისაც თითქმის სამსაათიანი კონცერტი ძალიან დამღლელი აღმოჩნდა, რომ არაფერი ვთქვათ ტელემაყურებელზე, რომელმაც დაუსრულებელი სარეკლამო ჭრებისა და მუსიკალური ნომრების გამო ალბათ დღემდე არ იცის, ვინ გაიმარჯვა და ვინ დარჩა ჯილდოს გარეშე.

ეს უკანასკნელნი კი უფრო მეტი არიან, ვიდრე გამარჯვებულები, რადგან 60 წიგნიდან მხოლოდ ცხრა მათგანის ავტორები დააჯილდოეს. მათ შორის იყო, „საბას“ ახალი, ქართული ნაწარმოების უცხოენოვანი თარგმანის ნომინაციის გამარჯვებული ნათია მიქელაძე-ბახსოლიანიც, რომელმაც ორი წლის წინანდელი „საბას“ საუკეთესო დებიუტანტის, თამთა მელაშვილის „გათვლა“ გერმანულ ენაზე თარგმნა. მიქელაძე-ბახსოლიანის ნამუშევარს არა მხოლოდ უცხოელი მკითხველი, არამედ გერმანულის ქართველი სპეციალისტებიც აქებენ (ანუ ისინი, ვისაც თარგმანისა და ორიგინალის შედარება შეუძლიათ), მაგრამ უფრო სასიამოვნო ის გახლავთ, რომ ამ ნომინაციას ყველაზე მეტი კონკურსანტი ჰყავდა - ქართულ ლიტერატურას თურმე მართლა თარგმნიან, თანაც უმეტესად თანამედროვეს.

„ყოველთვის დავწერ იმ ადამიანებისთვის და იმ ადამიანებზე, ვისაც ნებისმიერი მიმართულებით უჭირს“, - ასეთი „მუქარა“ მოვისმინეთ წლის საუკეთესო პიესის ავტორ ალექსი ჩიღვინაძისგან, რომელმაც პიესით სახელწოდებით „ქალაქის მერის ცოლის საყვარელი“ ამ საქმეში გამოცდილ დათო ტურაშვილს, ბასა ჯანიკაშვილს, ვანო ჩხიკვაძეს, ბექა ქურხულსა და ირაკლი სამოსონაძეს აჯობა. ამ უკანასკნელმა კი მაინც მოახერხა საკუთარი პრიზის მოპოვება - ირაკლი სამსონაძის სახელი საუკეთესო პროზაული კრებულის ნიმინაციაშიც იკითხებოდა.

მარიხუანას მოხმარებისთვის დაპატიმრებულები, 17 მაისს დარბეულები და ბინძურ პოლიტიკაში მოთამაშეები გაიხსენა თავის სიტყვაში წლის საუკეთესო დოკუმენტური პროზის ავტორმა გიორგი მაისურაძემ („დაკარგული კონტექსტები“), მისი საპროტესტო სულისკვეთება კი რამდენიმე წუთში საუკეთესო რომანისთვის დაჯილდოებულმა ნაირა გელაშვილმა („მე ის ვარ“) გააგრძელა, რომელმაც საკუთარი ფულადი ჯილდო ჰუდონჰესის მშენებლობის წინააღმდეგ დამდგარ სოფელ ხაიშის სკოლასა და საბავშვო ბაღს გადასცა, კოლეგებსა და მთელ სამოქალაქო საზოგადოებას კი ამ სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

2013 წლის საბას დანარჩენი ჯილდოები ასე გადანაწილდა: საუკეთესო პოეტური კრებულისთვის ლია სტურუა დააჯილდოეს (კრებული „დავიწყების დღე“), ხოლო ლიტერატურული კრიტიკისთვის პრიზი ელგუჯა თავბერიძეს გადასცეს ნაშრომისთვის „კოლიმგრაფი“. წელს საუკეთესო დებიუტანტი მარინა ელბაქიძეა პროზაული კრებულისთვის „გაცვლა“, ხოლო უილიამ ფოლკნერის რომანის „დროშები მტვერში“ ზაზა ჭილაძისეული თარგმანი შესაბამისი ნომინაციის საუკეთესო ნამუშევარი აღმოჩნდა.

ტრადიციულად გადასცეს პრიზი ქართული ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილის შეტანისთვის. წელს ეს წოდება ლიტერატორ ზურაბ კიკნაძეს ერგო.

ეგვიპტის სასამართლომ „მუსლიმი ძმები" აკრძალა

ეგვიპტის სასამართლომ გადაყენებულ პრეზიდენტ მოჰამედ მურსის მხარდამჭერი მოძრაობა «მუსლიმი ძმები" აკრძალა. გასცა აგრეთვე მოძრაობის ფულადი სახსრების ჩამორთმევის და აქტივების გაყინვის ბრძანება. «როიტერის" ცნობით, ამ გადაწყვეტილების მიზეზად პარტიის მიერ ძალადობის წახალისება დასახელდა. «სასამართლო ორგანიზაცია მუსლიმთა საძმოს და მისი არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობას კრძალავს," - განაცხადა მოსამართლემ მოჰამედ ალ-სეიდმა. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელ ჯენ პსაკის თქმით, უცნობია, თუ როგორ უნდა აღსრულდეს ეს გადაწყვეტილება და ობამას ადმინისტრაციას აღნიშნულის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღება აინტერესებს.

აშშ-სა და ირანის პრეზიდენტების შესაძლო შეხვედრით ისრაელი შეშფოთებულია

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ გაეროს გენერალურ ასამბლეის ფარგლებში ამერიკისა და ირანის პრეზიდენტები ბარაკ ობამა და ჰასან როუჰანი, შესაძლოა, ერთმანეთს შეხვდნენ, რაც 30 წლის განმავლობაში პირველი შემთხვევა იქნება. ობამასა და როუჰანის შესაძლო «ხელის ჩამორთმევის" გამო ისრაელის მინისტრთა კაბინტის წარმომადგენელმა იუვალ შტეინიცმა, რომელიც ნიუ-იორკში გაეროს ფორუმს ესწრება, განაცხადა: «იმედი მაქვს, ეს არ მოხდება. არ ვიცი. თუმცა სიტყვები არ არის მთავარი, მთავარია მოქმედება," - განუცხადა შტეინიცმა ისრაელის რადიოს.

როუჰანიმ, წინა პრეზიდენტ მაჰმუდ აჰმადინეჯადისგან განსხვავებით, განაცხადა, რომ ეცდება, თავისი ქვეყანა გაეროში „კულტურულ და მშვიდობისმოყვარე ქვეყნად წარმოაჩინოს."

ისრაელი და დასავლეთი შიშობს, რომ ირანი ბირთვული ბომბის შექმნაზე მუშაობს, რის გამოც ქვეყანას მკაცრი ეკონომიკური სანქციები დაუწესდა. ირანი კი აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისთვის სჭირდება. ახალმა პრეზიდენტმა ცოტა ხნის წინაც აღნიშნა, რომ ირანს ბირთვული იარაღი არასდროს ექნება.

ევროკავშირი იტალიის მინისტრზე რასისტულ თავდასხმას გმობს

«EUobserver"-ის ცნობით, 23 სექტემბერს ევროკავშირის წევრი 17 ქვეყნის მინისტრები იტალიის ქალაქ რომში შეიკრიბნენ, რათა იტალიის ინტეგრაციის მინისტრ სესილი კეინგიზე რასისტული თავდასხმა დაეგმოთ. მინისტრების აზრით, ბოლო პერიოდში რასიზმის გამოვლინებები გაიზარდა. ამიტომ მათ საჭიროდ მიიჩნიეს ახალი პაქტის შედგენა, რომელიც ევროპის მასშტაბით რასიზმის აღმოფხვრისკენ იქნება მოწოდებული. «რაც იტალიის მინისტრის მიმართ მოხდა, მიუღებელია," - განუცხადა რეპორტიორებს ბელგიის ვიცე-პრემიერმა ჟოელ მილკეტმა.

მინისტრებმა „რომის დეკლარაციას" მოაწერეს ხელი, რომელიც ევროპის მასშტაბით 2014-2020 წლებში რასიზმის წინააღმეგ ბრძოლის გეგმის შედგენას გულისხმობს. «ნებისმიერი ფორმით გამოხატული შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია დასაძრახია. ჩვენი ამის უგულებელყოფას ვერ შევძლებთ," - ნათქვამია დეკლარაციაში.

რეპორტიორებთან საუბრისას სესილი კეინგიმ კოლეგებს მხარდაჭერისთვის დიდი მადლობა გადაუხადა.

იტალიელმა სენატორმა რობერტო კალდეროლმა შავკანიანი მინისტრი ორანგუტანს შეადარა. «ჩრდილოეთ იტალიის ლიგის" წევრმა მარიო ბირჯეზიომ კი მის გამო იტალიის მთავრობა «ბონგო ბონგოდ" (უმთავრესად აფრიკის ქვეყნების დამამცირებელი შეფასება) შეაფასა. «ფეისბუკზე" კი მას ექსტრემისტული ჯგუფები სიკვდილითაც დაემუქრნენ.

სომხეთის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს კონკურენტზე თავდასხმისთვის 14 წელი მიუსაჯეს

«რეგნუმის» ცნობით, 23 სექტემბერს სომხეთის პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატ ვარდან სედრაკიანს, პროფესიით მითოლოგს, რომელსაც პარტია „ეროვნული თვითგამორკვევის" ლიდერზე, ასევე პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატ პარეარ აირიკიანზე თავდასხმის ორგანიზება ბრალდება, 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. უშუალოდ თავდასხმის შესრულებაში ბრალდებულებს ხაჩატურ პოღოსიანსა და სამველ არუთიუნიანს სასამართლომ შესაბამისად 14 და 12 წლით პატიმრობა შეუფარდა. 2013 წლის 31 იანვარს, სომხეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე 18 დღით ადრე, აირიკიანზე თავდასხმა მოხდა - მას ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს.

დიდი ბრიტანეთი და ირანი ურთიერთობის ნორმალიზებას ეცდებიან

დიდმა ბრიტანეთმა და ირანმა ურთიერთობის ნორმალიზების მიზნით მოლაპარაკებები დაიწყეს, - ამის შესახებ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა უილიამ ჰეიგმა თავის ირანელ კოლეგა ჯავად ზარიფთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. «ჩვენ ორმხრივი ურთიერთობის გასაუმჯობესებლად მოლაპარაკებები დავიწყეთ," - აღნიშნა ჰეიგმა. დღეისთვის ამ ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობა, ფაქტობრივად, არ არსებობს. დიდმა ბრიტანეთმა თეირანში საელჩო 2011 წელს დახურა და ქვეყნიდან საელჩოს თანამშრომლები გაიწვია. ამას წინ უძღოდა დიპლომატიურ წარმომადგენლობაზე სტუდენტების თავდასხმა, რომლებიც ირანის მიმართ დიდი ბრიტანეთის მხრიდან ახალი სანქციების დაწესებას აპროტესტებდნენ. უილიამ ჰეიგის განცხადებით, ორმხრივი ურთიერთობების ნორმალიზებისა და ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ მოლაპარაკებებში პროგრესისთვის აუცილებელია კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა.

მოამზადა თამთა კახაძემ

კენიაში სავაჭრო ცენტრი ტერორისტებისგან გაწმინდეს

პირველი გვერდიდან

სპეცრაზმელები ამოწმებდნენ ყველა კუთხე-კუნჭულს, რომ სადმე მიმალული თავდამსხმელები არ გამორჩენოდათ.

დილის მონაცემებით, მხოლოდ ბოლო დღე-ღამის განმავლობაში კიდევ 10 ცხედარი იპოვეს, ლიკვიდირებულია 6 ტერორისტი და შენობიდან ევაკუირებულია 200 ადამიანი. თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ კენიის ხელისუფლებამ ოპტიმისტური განცხადების გაკეთება ცოტა იჩქარა და სპეცოპერაცია არ დამთავრებულა. დღისით სპეცრაზმელები ისევ გადააწყდნენ წინააღმდეგობის კერას, შენობიდან ისევ ისმოდა აფეთქების და ინტენსიური სროლის ხმა. როგორც ირკვევა, აფეთქდა დანაღმული ადგილი და სპეცრაზმელები შენობაში მიმალულ ჯგუფს გადააწყდნენ.

გუშინ საღამოს, სხვადასხვა მონაცემებით, კიდევ გაურკვეველი იყო 51 თუ 63 ადამიანის ბედი. დაღუპულების რაოდენობა 62-იდან 65-მდე გაიზარდა. ეს სამი ადამიანი სპეცოპერაციაში მონაწილე სამხედრო მოსამსახურეა. არიან დაჭრილებიც. დაჭრილთა საერთო რაოდენობა მთელი ოთხი დღის განმავლობაში, ასევე სხვადასხვა მონაცემებით, 170-დან 180-მდე მერყეობს. კვირას და ორშაბთს დაკავებული ხუთი ტერორისტის გარდა, რომელთაგან ერთი საავადმყოფოში გარდაიცვალა, გუშინ დააპატიმრეს ამ საქმესთან დაკავშირებული კიდევ ათი კაცი. მათგან რამდენიმე უკვე ნაირობის აეროპორტში დააკავეს.

როგორც ირკვევა, თავდამსხმელთა ჯგუფში იყვნენ დასავლეთის სახელმწიფოთა მოქალაქეები. ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრ ამინა მოჰამედის განცხადებით, ტერორისტებს შორის იყო, სულ ცოტა, სამი ამერიკელი - წარმოშობით სომალელები და არაბები. ამას გარდა, ოპერაციის ორგანიზებაში მონაწილეობდა ბრიტანელი ჯიჰადისტი ქალი. ყველა ამერიკელი ახალგაზრდა ასაკის იყო - 19-20 წლის. ისინი ადრე მინესოტასა და მისურის შტატებში ცხოვრობდნენ. დაუზუსტებელი ინფორმაციით, თავდამსხმელებს შორის ერთი შეიძლება, კანადელიც ყოფილიყო. ამ ინფორმაციას ახლა ამოწმებენ როგორც სომალის, ასევე კანადის სპეცსამსახურები. აშშ-მ არც უარყო და არც დაადასტურა ტერაქტში აშშ-ს მოქალაქეების მონაწილეობა. ეს ინფორმაციაც, როგორც ჩანს, მოწმდება. ბრიტანელის საკითხს ჩვენ ისევ დავუბრუნდებით.

გენშტაბის უფროსმა ჯულიუს კარანგიმ განაცხადა, რომ სავაჭრო ცენტრზე თავდამსხმელთა შემადგენლობა მრავალეროვნული იყო, ეს ჯგუფი მთელი მსოფლიოს წარმომადგენლებს მოიცავდა. მისი სიტყვებით, ეს არ იყო ლოკალური მოვლენა, ეს იყო გლობალურ ტერორიზმთან ბრძოლა. კარანგის განცხადებით, მათ აქვთ საკმარისი სადაზვერვო ინფორმაცია, რომ ასეთი დასკვნა გააკეთონ.

დაღუპულებს შორისაც 18 უცხოელია, მათ შორის არიან აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის (მათ შორის, ერთი დიპლომატიც), კანადის, ჩინეთის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ავსტრალიის და პერუს მოქალაქეები. ტერაქტს შეეწირნენ კენიაში და აფრიკაში ცნობილი სხვა პირებიც, მაგალითად, პოპულარული რადიონამყვანი, წარმოშობით ინდოელი რუხილა ადატია-სუდი, მთელ აფრიკაში ცნობილი პოეტი კოფი ავუნორი, ასევე ქვეყნის პრეზიდენტ უხურუ კენიატას ძმისშვილი მეუღლითურთ.

საინტერესოა ინფორმაცია ტერორისტებს შორის „თეთრკანიანი ქვრივის", სავარაუდოდ, ბრიტანეთის მოქალაქის ყოფნის შესახებ, რაზეც თვით კენიის მთავრობის წევრებიც განსხვავებულ ინფორმაციას იძლევიან. საგარეო საქმეთა მინისტრმა, ქალბატონმა ამინა მოჰამედმა ოპერაციაში ბრიტანელი ქალის მონაწილეობა დაადასტურა, თუმცა მისი ვინაობა არ დაუსახელებია. სამხედროებმა, იგივე ჯულიუს კარანგიმ, ეს უარყო. სამხედროები აცხადებენ, რომ ტერორისტებს შორის ქალი არ ყოფილა, მაგრამ რამდენიმე კაცს შესანიღბად ქალის ტანსაცმელი ეცვა. იგივე განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა ჯოზეფ ოლე ლენკუმ. სხვა, დაუზუსტებელი მონაცემებით, ლიკვიდირებულ ტერორისტებს შორის თეთრკანიანი ქალიც არის.

მედიაში ლაპარაკია კონკრეტულ პიროვნებაზე. ეს არის 29 წლის სამანტა ლიუტუეიტი, 2005 წლის 7 ივლისს ლონდონის მეტროს ტერაქტში მონაწილე ერთ-ერთი თვითმკვლელი ტერორისტის ჯერმეინ ლინდსის ქვრივი და ოთხი შვილის დედა. მაშინ სამანტა ლიუტუეიტი სომალიში გაიქცა. ზოგი მონაცემებით, ის რეგიონში ბევრს მოგზაურობს, სხვადასხვა, მათ შორის საკუთარი სახელით; არის „აშ-შაბაბის" ერთ-ერთი ხელმძღვანელთაგანი; სპეციალიზებულია ოპერაციების დაგეგმვასა და ასაფეთქებელი მოწყობილობების შექმნაზე. მას, სავარაუდოდ, აქამდეც მიუღია მონაწილეობა ამგვარ საქმიანობაში. იგი შეიძლება, ნაირობის ოპერაციის მეთაურიც იყო. თუმცა სანამ ამ ინფორმაციას ოფიციალურად არავინ ადასტურებს, სამანტა ლიუტუეიტის შესახებ გავრცელებული ინფორმაცია შეიძლება, სულაც, ლეგენდაა.

თავის მხრივ, კენიის ხელისუფლებაც „მარტო" არ არის. კენია აფრიკის ცენტრალურ-აღმოსავლეთ ნაწილში ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფოა და შესაბამისად დასავლეთის მნიშვნელოვანი მოკავშირეა ტერორიზმთან ბრძოლის საკითხში. ის ამერიკის და ევროპის სერიოზულ დახმარებას იღებს და მისი საარმიო კონტინგენტი, 4 ათასი კაცის შემადგენლობით, აქტიურად მონაწილეობს სომალის ოპერაციაში აფრიკის კავშირის ეგიდით. ოფიციალურად დაადასტურეს, რომ ანტიტერორისტულ ოპერაციაში კენიის სპეცსამსახურებს აქტიურად ეხმარებოდნენ ამერიკელი, ბრიტანელი და ისრაელელი ინსტრუქტორები. ისრაელის სპეცსამსახურები ბოლო 10 წელია, ძალიან აქტიურად თანამშრომლობენ კენიელ კოლეგებთან და მათ აღჭურვილობით და სპეციალისტებით ყოველგვარ დახმარებას უწევენ. კენიაც აფრიკის ამ ზონაში ტერორიზმთან ბრძოლაში ისრაელის სანდო მოკავშირეა. სხვთა შორის, სავაჭრო ცენტრი „ვესტგეიტი" ნაწილობრივ ებრაელებს ეკუთვნით და ექსპერტები დიდი ხანია, აცხადებდნენ, რომ ეს შენობა შეიძლებოდა, ტერორისტების სამიზნე გამხდარიყო.

P.S. გუშინ, გვიან საღამოს, ხალხს ტელევიზიით მიმართა კენიის პრეზიდენტმა უხურუ კენიატამ. მან განაცხადა, რომ აშ-შაბაბის ტერორისტები დაამარცხეს. ეს შეიძლება, სპეცოპერაციის ოფიციალურ დასასრულად მივიჩნიოთ. სამხედროებმა სავაჭრო ცენტრი დატოვეს და პოლიციას გადააბარეს. ბოლო მონაცემებით, დაღუპულია 67 ადამიანი, მათ შორის 6 სამხედრო პირია. მოკლულია 5 ტერორისტი, 11 დაკავებულია. პრეზიდენტმა ქვეყანაში სამდღიანი გლოვა გამოაცხადა.

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაცია სამხრეთის საზღვრებს ამაგრებს

კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები: რუსეთი, ბელარუსი, სომხეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი შეთანხმდნენ, რომ ტაჯიკეთს ავღანეთთან საზღვრის დაცვის სისტემის აწყობაში დახმარებას ერთობლივად აღმოუჩენენ. ასეთი დავალება შესაბამის უწყებებს ჯერ კიდევ მაისში, ბიშკეკში ჩატარებული არაფორმალური შეხვედრის დროს მისცეს, თუმცა ეს ყველაფერი ოფიციალურად ორშაბათს სამიტზე გაფორმდა. პრეზიდენტების შეხვედრა სოჭში, სანატორიუმ «რუს"-ში მიმდინარეობდა.

ექვსი ქვეყნის პრეზიდენტებმა ხელი მოაწერეს კომუნიკეს, რომელშიც აღნიშნულია, რომ ისინი ცენტრალური აზიის რეგიონის და ზოგადად ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა მშვიდობისთვის მთავარ საფრთხედ მიიჩნევენ არასტაბილურ მდგომარეობას ავღანეთში, რომელსაც უკვე 2014 წელს დატოვებს უსაფრთხოების საერთაშორისო ძალების კონტინგენტი.

სიტუაციის კომენტირებისას ავღანეთში რუსეთის ელჩმა ანდრეი ავეტისიანმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც საერთაშორისო კოალიცია ავღანეთიდან გავა, სადაც სხვადასხვა ექსტრემისული დაჯგუფებები აქტიურად მოქმედებენ, ტერორიზმის გავრცელების საშიშროება გაიზრდება. ამას გარდა, ავღანეთში სამოქალაქო ომის ესკალაციის და ასევე ნარკოტრაფიკის ზრდის საფრთხეც არსებობს.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა კი განაცხადა, რომ «უკვე დღეს ექსტრემისტები თავისი საქმიანობის მეზობელ სახელმწიფოებზე განვრცობას ცდილობენ, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრი შუა აზიის სახელმწიფოების ჩათვლით."

ამ საფრთხეებთან ბრძოლის მიზნით ყირგიზეთი «უსაფრთხოების ზონის" შექმნის წინადადებით გამოვიდა. ეს გულისხმობს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის საავიაციო ძალების შექმნას, კოლექტიური ძალების მართვის სისტემის სრულყოფას და ტაჯიკეთისთვის დახმარების აღმოჩენას საზღვრის გამაგრების საქმეში. ამას გარდა, ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები შეთანხმდნენ, რომ ტაკიჯეთს ავღანეთთან საზღვრის დასაცავად შეიარაღებას და ტექნიკას გადასცემენ, თუმცა იქ სხვა სახელმწიფოებიდან სამხედრო მოსამსახურეების გაგზავნის საკითხი ჯერ არ განიხილება. მთლიანობაში ამ მიზნებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრმა სახელმწიფოებმა 191 მილიონი რუბლით განსაზღვრეს.

სამიტის დღის წესრიგში 10 საკითხი იყო, რომლებიც სულ სხვადასხვა სფეროებს ეხებოდა. პრეზიდენტებმა ისაუბრეს სირიაში არსებულ კონფლიქტზეც, რაც ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოს აღელვებს. კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის საბჭო იმ აზრს ეთანხმება, რომ სირიაში სიტუაცია მშვიდობიანი, პოლიტიკური მეთოდებით უნდა მოგვარდეს. რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ «ნებისმიერი საგარეო ძალისმიერი აქცია არის აგრესია, რომელიც გაართულებს მდგომარეობას როგორც უშუალოდ სირიაში, ასევე მთელს რეგიონში."

სამიტის დამთავრების შემდეგ კი პუტინმა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სამხედრო თანამშრომლობის განვითარებით კმაყოფილება გამოთქვა. მან ერთობლივი სამხედრო სწავლებები ჩამოთვალა: «ურთიერთქმედება 2013" - ბელარუსში, «მეხი 2013" - ყირგიზეთში და «ურღვევი ძმობა 2013" - რუსეთში. რუსეთის ხელმძღვანელის აზრით, კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის მიერ რეგულარულად ჩატარებული ოპერაციები ეფექტური ინსტრუმენტი ხდება ნარკოტრაფიკის, არალეგალური მიგრაციის და საინფორმაციო სივრცეში დანაშაულის წინააღმდეგ.

სამიტის ფარგლებში რუსეთის და ბელარუსის პრეზიდენტების - პუტინისა და ლუკაშენკოს ორი შედგა შეხვედრა - ფორმალური და არაფორმალური, რომლებზეც მათ შორის განიხილეს ბლო პერიოდში აქტუალური «კალიუმის საქმე". როგორც მედია აღნიშნავს, პრეზიდენტები ვერაფერზე შეთანხმდნენ, თუმცა არც ხმაურიანი განცხადებები გაკეთებულა. კრემლთან დაახლოებული მედიასაშუალებები კი წერენ, რომ მალე ეს საქმე რუსული მხარისთვის კარგად დამთავრდება, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს ბელარუსში დაპატიმრებული ვლადისლავ ბაუმგარტნერის - «ურალკალიუმის" გენერალური დირექტორის გათავისუფლებას. არადა მედია და საზოგადოებაც პრეზიდენტებისგან უფრო მკაფიო გადაწყვეტილებებს ელოდნენ.

მოამზადა ივა შილაკაძემ

შერმადინი

პირველი გვერდიდან

გიორგი შერმადინი

იქ გიო ერთ დონეს იმატებს და ზაზა ფაჩულიას ტრავმის შემდეგ, ნაკრების პირველი ცენტრი ხდება. შერმადინმა მიიღო ნდობა და გიომ საქმე გააკეთა. სლოვენიაში ჩვენი ბიჭი სანდო, აგრესიული, ჭკვიანი, მოურიდებელი და მშვიდი იყო. ჩვეულებრივი მომენტი ძალიან კარგი პივოტისგან. შერმადინმა ფაჩულია ვერ შეცვალა. შერმადინი სხვა ცენტრია. ფაჩულია არ იცვლება. არც შერმადინი. რაღაცეები არ იცვლება და გიომ საქმე გააკეთა. მაღალ დონეზე გააკეთა.

ევროპაზე გიომ 11.6 ქულა აიღო. 7.2 მოხსნასთან ერთად. საინტერესო, რეალურად დასამახსოვრებელი სტატისტიკაა და შერმადინი დაიმახსოვრეს. იმ ეპიზოდებით, როდესაც გიო თავის ზონას იცავდა და სხვის ზონაში არ იბნეოდა, საკუთარი ნიჭის ბოლომდე გაშლის არ ეშინოდა. გიომ უკომპლექსოდ თამაში ისწავლა და ეს ჩვეულებრივი მომენტია. ჩვეულებრივი მომენტი გამოცდილი, საკუთარ თავში დარწმუნებული ცენტრისთვის. ახალი შერმადინი ცვლის თამაშის ტემპს და ახალი შერმადინი კლასით, ახალი აგრესიით აკეთებს საქმეს. გიო ტურნირის ხუთ საუკეთესო ცენტრში შედის. სტატისტიკით შედის და სხვა ამბებში ეს ნიუანსები გასავლელია. შერმადინი კარგი ცენტრი იყო და სლოვენიაში ერთი დონე დაიმატა. გიომ მოიგო ევროლიგა

პანათინაიკოსთან“ ერთად. გიომ მოიგო ევროლიგა ოლიმპიაკოსთან“ ერთად. და გიომ მოუმატა. და გიომ ბევრი რაღაც ისწავლა. შერმადინი გუნდურად უმატებს და ევრობასეტის ხუთ ტესტში ეს ჩანდა. ევრობასკეტის ხუთ გარჩევაში ეს ბევრმა ნახა. და დაიმახსოვრა. შერმადინის ახალი სეზონი, სარაგოსაში“ უფრო დატვირთული იქნება.

პოლონეთთან, ხორვატიასთან და ჩეხეთთან შერმადინმა 9-9 მოხსნა დააგროვა. სოლიდური თემაა და გიორგიც სოლიდური იყო. სოლიდურ მოწინააღმდეგეებთან სოლიდური და შერმადინმა პრობლემები მოაგვარა. თუ იან ვესელი სლემებს ყველა შემთხვევაში აგროვებდა, ეს ნაკლებად იყო შერმადინის ბრალი. ჩეხეთთან მთელი ნაკრები დაღლილი იყო. ხორვატიასთან ბოლო წამებზე, ანტე ტომიჩმა ჩასაგდები ჩააგდო და პოლონეთთან გიომ ორი გაპიარებული ტიტანი, მარჩინ გორტატი და მაჩეი ლამპე გააჩერა. მიდი, გააკეთე საქმე და მოიგე მოსაგები. ეს გიოს ახალი სლოგანი უნდა იყოს და შერმადინის კალათბურთში მეტი აგრესია, მეტი სილამაზე შევიდა. თუ გიო ამ დონეზე არ დარჩება, ევრობასკეტი ახალი ვარიაციის მეხუთე ნომერს მიიღებს. უფრო სწრაფი აზროვნებით, უფრო სწრაფი ხელებით, უფრო სწრაფი გადაადგილებით და უფრო სწრაფი კალათბურთით. ეს პერსპექტივაში, შერმადინია. გიომ ეს იცის. და გიომ საკუთარი შესაძლებლობები უნდა გამოიყენოს. შერმადინმა საქმე გააკეთა. ეს უკვე ვთქვით და სათქმელი კიდევ ერთხელ ვთქვათ - შერმადინი ვერ შეცვლის ფაჩულიას. ფაჩულიები არ იცვლებიან. შერმადინი შერმადინია და საქართველოს ნაკრების მწვრთნელები ამას მიიღებენ. პროცესი დაიწყო და პროცესი გაგრძელდება. შერმადინმა ძალიან კარგი ევრობასკეტი მიიღო და ჩვენ ევრობასკეტით ძალიან კარგი შერმადინი მივიღეთ. პროცესი დაიწყო. და გაგრძელდება.

თუ ლონდონში, ოთხთა ფინალის პირველ დონეზე გიორგი შერმადინი საკმარის დროს ვერ იღებდა, ამას თავისი მიზეზი, თავისი ახსნა ჰქონდა. ლონდონში, ოთხთა ფინალის პირველ დონეზე

ოლიმპიაკოსი“ სტაბილურ ფავორიტს, ცსკას დაელაპარაკა. და

ოლიმპიაკოსმა“ 69:52 გადაშალა ცსკა. გიორგი შერმადინმა იმ თამაშში 5 ქულა, 3 მოხსნა, ორი კარგი მომენტი დატოვა და შერმადინი ბოლო დონეზე ნაკლებად კარგი იყო. ფინალში, რეალთან“. იქ გიოს ცოტა წუთი აჩუქეს და საქართველოს ნაკრების მეორე ცენტრმა 3 ქულა და 2 პასი აკრიფა. 6 წუთში ეს სტატისტიკა მოსაღებია. 6 წუთში ეს სტატისტიკა ჩვეულებრივია. და შერმადინი იწყებს დასვენებას, ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას. იქ გიო ერთ დონეს იმატებს და ზაზა ფაჩულიას ტრავმის შემდეგ, ნაკრების პირველი ცენტრი ხდება. შერმადინმა მიიღო ნდობა და გიომ საქმე გააკეთა. სლოვენიაში ჩვენი ბიჭი სანდო, აგრესიული, ჭკვიანი, მოურიდებელი და მშვიდი იყო. ჩვეულებრივი მომენტი ძალიან კარგი პივოტისგან. შერმადინმა ფაჩულია ვერ შეცვალა. შერმადინი სხვა ცენტრია. ფაჩულია არ იცვლება. არც შერმადინი. რაღაცეები არ იცვლება და გიომ საქმე გააკეთა. მაღალ დონეზე გააკეთა.

სანიკიძე და შერმადინი სარაგოსამ ოფიციალურად წარადგინა

საქართველოს ეროვნული საკალათბურთო ნაკრების წევრებმა ვიქტორ სანიკიძემ და გიორგი შერმადინმა ესპანურ „სარაგოსასთან“ ოფიციალური ხელშეკრულება გააფორმეს.

ესპანეთის ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა, ქართველი კალათბურთელები ბელგიელ ლეგიონერებთან ერთად მედიისათვის გამართულ პრეზენტაციაზე 23 სექტემბერს წარადგინა.

2.16 სმ. სიმაღლის შერმადინმა „სარაგოსას“ შემადგენლობაში პირველი საკონტროლო მატჩი უკვე გამართა და ფრანგული „ტარბის“ წინააღმდეგ 21 ქულას მოუყარა თავი, ამპლუით ფორვარდი ვიქტორ სანიკიძე კი რომლის სიმაღლე 2.03 სანტიმეტრია, მის ახალ კლუბში 24 სექტემბერს ითამაშებს.

„სარაგოსა“ ახალი სეზონისათვის მზადების ეტაპზე, ლეგიონერებთან ერთად კიდევ 4 ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს. ესპანეთის ჩემპიონატი 12 ოქტომბერს დაიწყება, „სარაგოსა“ ასევე მონაწილეობას მიიღებს ევროთასებზეც.

გიორგი შერმადინი, რომელიც წინა სეზონზე საბერძნეთის „ოლიმპიაკოსში“ თამაშობდა, „სარაგოსას“ შემადგენლობაში 19-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, ესპანურ ლიგაში იტალიის „მონტეპასკიდან“ გადასული ვიქტორ სანიკიძე კი 13-ნომრიანი მაისურით.

სლოვენიაში გამართულ 2013 წლის ევროპის ჩემპიონატზე ვიქტორ სანიკიძე საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში საშუალოდ 32.4 წუთს თამაშობდა და 14.6 ქულასა და 7.0 მოხსნას აგროვებდა გიორგი შერმადინი კი 29 წუთში 11. ქულას და 7.2 მოხსნას.

სამინისტროს პრესსამსახური

ახალგაზრდა ძიუდოისტებმა ევროპის ჩემპიონატი შეაჯამეს

ბოსნიის დედაქალაქ სარაევოში ჩატარებულ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა ორი ოქროს, ორი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და ვაჟთა გუნდურ ჩათვლაში 41 ქვეყანას შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ევროპის ჩემპიონები ბექა ღვინიაშვილი (90 კგ.) და გურამ თუშიშვილი (100 კგ.) გახდნენ, ვერცხლის მედლებს ლევან გუგავა (73 კგ.) და ლევან მატიაშვილი (+ 100 კგ.) დაეუფლნენ, ბრინჯაოს პრიზიორი კი გიორგი ზაქარიაძე (+ 100 კგ.) გახდა.

ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნების შემდეგ, ძიუდოისტთა ახალგაზრდულ ნაკრებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში უმასპინძლეს.

„ევროპის ჩემპიონატი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო. ნაკრებები ძლიერი სპორტსმენებით იყვნენ წარმოდგენილნი, - ვითარებაში გვარკვევს ბექა ღვინიაშვილი, რომელმაც ყველა შეხვედრაში წმინდა გამარჯვებები და შემდგომ უკვე ჩემპიონობა მოიპოვა. - ჩვენი გუნდიც, მეც კარგად ვიყავით მომზადებული.

...შედარებით რთული ნახევარფინალური შეხვედრა გამოდგა - გამოცდილი მეტოქე მყავდა, მაგრამ ღვთის წყალობით ეს ბარიერი გადავლახე. ფინალში კი შარშანდელი ევროპირველობის პრიზიორი შემხვდა, რომელიც შეცდომაზე დავიჭირე და ჩემპიონობა მოვიპოვე.

წინ მსოფლიო ჩემპიონატი გვაქვს, რომლისთვისაც მზადებას მალე შევუდგებით. იმედია იქიდანაც ოქროს მედლით დავბრუნდები“.

საქართველოს ათკაციანი გუნდიდან ხუთმა მედალი აიღო. გუნდურ ჩათვლაში, სადაც გოგონათა შედეგებსაც ითვალისწინებენ, მეორე ადგილზე გავედით, ვაჟებში კი პირველობას ვერავინ შეგვეცილა. ამ შედეგით საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაში უკან მოიტოვა აზერბაიჯანის, საბერძნეთის, რუსეთისა და საფრანგეთის ნაკრებები.

„წარმატებული ევროპის ჩემპიონატი გვქონდა. წინასწარ შედეგს ვერ დაგეგმავ, მაგრამ ორ ოქროს მაინც მოვიაზრებდით, რომელიც ჩვენთვის დამაკმაყოფილებელი შედეგი იქნებოდა. თუმცა შანსები სხვა წონით კატეგორიებშიც გვქონდა. მოგებულ ორ ფინალთან ერთად ამდენივე ფინალი წავაგეთ. საერთო ჯამში გუნდმა კარგად იასპარეზა. ბიჭებმა ამ ეტაპზე მაქსიმუმი გაიღეს, მაგრამ ვფიქრობ შანსები კიდევ გვქონდა უკეთესი ხარისხის მედლების მოსაპოვებლად.

ახლა ჩვენი უმთავრესი საზრუნავი მსოფლიო ჩემპიონატია, რომლისთვისაც მზადებას 5 ოქტომბრიდან შევუდგებით“, - ამბობს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი გია გუგავა.

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდული ნაკრების შედეგები

2 ოქრო - ბექა ღვინიაშვილი (90 კგ.), გურამ თუშიშვილი (100 კგ.)

2 ვერცხლი - ლევან გუგავა (73 კგ), ლევან მატიაშვილი (+100 კგ)

1 ბრინჯაო - გიორგი ზაქარიაძე (+100 კგ)

მთ. მწვრთნელი: გია გუგავა

გუნდური ჩათვლა

1. საქართველო
2. აზერბაიჯანი
3. საბერძნეთი


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
myVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink